



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ადამიანის უფლებები ყველასათვის



Empowered lives.
Resilient nations.

ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი "ადამიანის უფლებები ყველასათვის"

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა
დაცვის სამდივნოსთან თანამშრომლობით

სახელმძღვანელო წესები საქართველოს
ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული
სამოქმედო გეგმის შედგენის,
მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის

ივნისი 2017

საერთაშორისო კონსულტანტი:

დავიდ ჯონსონი, ადამიანის უფლებების დაცვის
მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის
დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ექსპერტი და პუბლიკაციის შინაარსის
ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

სათაური	გვერდი
მადლიერება	2
აკრონიმების ჩამონათვალი	2
I. შესავალი	3
II. სახელმძღვანელო წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (HRNAP) შესადგენად	3
A. მითითებები HRNAP ცხრილების შესასრულებლად	3
B. მითითებები ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის	6
III. სახელმძღვანელო წესები მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის	7
A. წლიური ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა	7
B. მითითებები HRNAP პასუხისმგებელი უწყებებისათვის	7
C. მითითებები ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის	8

დანართები

- I. რეკომენდებული ცხრილის ფორმატის ნიმუში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმისათვის
- II. ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრუქტურის პროექტი
- III. წლის ანგარიშის ახალი რეკომენდებული სტრუქტურა

მადლიერება

ავტორი გულწრფელად უხდის მადლობას UNDP-ის საქართველოში, განსაკუთრებით, მის თანამშრომლებს, რომლებმაც განახორციელეს „ევროკავშირი/გაერო - ადამიანის უფლებები ყველასათვის“, მათი დახმარებისა და ხელშეწყობისათვის, რომელთა გარეშე ეს სახელმძღვანელო წესები არ იარსებებდა. ასევე გულწრფელი მადლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს და მის პარტნიორ სააგენტოებს მათი დროისა და მათ მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისათვის. იმედია, რომ წინამდებარე დოკუმენტი ხელს შეუწყობს მთავრობას და ადამიანის უფლებათა დამცველ საზოგადოებას საქართველოში მათ ძალისხმევაში, რომ გააუმჯობესონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების ეფექტურობა.

აკრონიმების ჩამონათვალი

HRBA – ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

HRNAP – ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმა (საქართველოსთვის ორ წლიანი სამოქმედო გეგმა, რათა მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ექვსწლიანი სტრატეგიის განხორციელება)

PSDA – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

S.M.A.R.T. (კრიტერიუმი მონიტორინგისა და შეფასებისათვის) – კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რესურსებით უზრუნველყოფილი, დროში გაწერილი

I. შესავალი

1. წინამდებარე კონსულტაცია განხორციელდა „ევროკავშირი/გაერო - ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში, გაერთიანებული ინიციატივა გაეროს სააგენტოებისათვის - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). პროექტის საერთო მიზანი არის სამთავრობო ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების, სამოქალაქო ინტეგრაციის და სამართლებრივი საკითხების საპარლამენტო კომიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება და მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში ადამიანის უფლებების უკეთესად დაცვისათვის. პროექტი მოიცავს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და 2014-2020 სამოქმედო გეგმის და შემდგომ 2014-2015 და 2016-2017 წლებისათვის მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (HRNAPs) პოლიტიკის განხორციელებაში, დანერგვასა და მონიტორინგის საკითხებში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოსა და მისი სამდივნოს შესაძლებლობების განვითარებაში ხელის შეწყობას.

2. ამ ჩარჩოს ფარგლებში კონსულტაციების შედეგად შემუშავდა ანგარიში, რაც მოიცავს:

- a. რეკომენდაციებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის და შედეგად მიღებული HRNAP შესაბამისი მონიტორინგის სისტემას და
- b. რეკომენდაციებს მონიტორინგის მიმდინარე აქტივობების შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის განსაზღვრული სისტემის მიხედვით.

3. იმავე კონსულტაციების ფარგლებში ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს:

- a. სახელმძღვანელო წესები HRNAP მონიტორინგის შესახებ რელევანტურ ინდიკატორებთან, დადასტურების საშუალებებთან, მონაცემთა წყაროებთან და ფინანსური/ადამიანური რესურსების საჭიროებებთან დაკავშირებით და
- b. სახელმძღვანელო წესები საქართველოს მთავრობის პარტნიორი სააგენტოების მიერ HRNAP ანგარიშგების შესახებ.

ამ მიზნით შემუშავდა ეს სახელმძღვანელო წესები შემუშავებისა და ანგარიშგების პროცესის სახელმძღვანელოდ. HRNAP შემდეგი პროექტის ფორმამ და შინაარსმა ხელი უნდა შეუწყოს შესაბამის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების პროცესს და თავიდან აიცილოს პრობლემები, რომლებიც იდენტიფიცირდა მიმდინარე სამოქმედო გეგმაში. ეს სახელმძღვანელო წესები დაფუძნებულია კონსულტაციის საფუძველზე წარდგენილ წინა ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე და დასრულდება 2017 წლის ივლისში დაგეგმილი ვალიდაციისა და სასწავლო ვორკშოპების სერიების შემდეგ.

ეს სახელმძღვანელო წესები უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მისი, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტის, გამოყენება. კონკრეტულ

საკითხებზე შემდგომი დაზუსტებისთვის გთხოვთ, იხილოთ შენიშვნებში მითითებები წინა ანგარიშზე, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს.

II. სახელმძღვანელო წესები HRNAP შემუშავებისათვის

A. მითითებები HRNAP ცხრილების შესრულებისთვის

შემდეგი სახელმძღვანელო წესები შეესაბამება რეკომენდებულ HRNAP ცხრილებს, როგორც ნაჩვენებია დანართში I.

1. შეარჩიეთ პრიორიტეტული მიზანი

- უნდა განისაზღვროს ადამიანის უფლებათა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პრიორიტეტული და სტრატეგიული საკითხები თითოეულ პასუხისმგებელ სააგენტოზე.¹
- შესაძლებელია დაფუძნებული იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ან ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მონიტორების, მათ შორის სახელმწიფო დამცველის ოფისის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე²
- შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ან მოიცავდეს სხვა სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (იხ. “კავშირები” ქვემოთ)
- აღნიშნულ და ჩამოყალიბებულ უნდა იქნას, როგორ “S.M.A.R.T.”, რაც ნიშნავს: “S - კონკრეტული”, “M - გაზომვადი”, “A - მიღწევადი”, “R - რესურსებით უზრუნველყოფილი”, და “T - დროში გაწერილი”. თავიდან უნდა იქნას აცილებული გრძლად ან ბუნდოვნად ჩამოყალიბებული განმარტებები და/ან არარეალისტური მიზნები.
- თითოეული შერჩეული მიზანი იქნება პრობლემის საფუძვლიანი ანალიზის საგანი (იხ. ქვემოთ „მიზნები“)

2. მოახდინეთ ნებისმიერი კავშირის ჯვარედინი მითითება

- ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც მიზანი მეორდება ან მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მრავალ-სექტორულ ან უწყების სამოქმედო გეგმის მიზანთან, მითითება უნდა გაკეთდეს ამ უკანასკნელ მიზანსა და გეგმაზე.³
- ჯვარედინი მითითება შეამსუბუქებს ანგარიშმგებელი უწყებების ტვირთს და უხელმძღვანელებს HRNAP დაინტერესებულ მხარეებს შემდგომი და შესაძლოა უფრო დეტალური ინფორმაციისაკენ.

3. მოახდინეთ არსებითი მიზნების იდენტიფიცირება

- პრობლემის საფუძვლიანი ანალიზი (აგრეთვე ეწოდება „ცვლილებების თეორია“) უნდა განხორციელდეს თითოეული მიზნისათვის, რათა მოხდეს შესაბამისი პრობლემების, აქტივობების, ინდიკატორებისა და რისკების იდენტიფიცირება.⁴
- მიზნები გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც ვარაუდები ან შუალედური ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას მიზნების მისაღწევად. თითოეული ამოცანა შესაძლოა იყოს აუცილებელი, თუმცა არა საკმარისი პირობა წარმატებისათვის.

¹ იხ. პარაგრაფები 9-11 და პარაგრაფი 49.1 “რეკომენდაციები ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული გეგმის სათანადო მონიტორინგის სისტემასა და მიმდინარე აქტივობებზე”, მაისი 2017 (შემდგომ “რეკომენდაციების ანგარიში”).

² იხ. პარაგრაფები 16-17, რეკომენდაციების ანგარიში.

³ იხ. პარაგრაფები 49.9, რეკომენდაციების ანგარიში.

⁴ იხ. პარაგრაფები 28-33 და პარაგრაფი 49.2, რეკომენდაციების ანგარიში.

- c) ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების (HRBA) პრინციპები უნდა იყოს საკვანძო პრობლემის ანალიზის ინფორმირებისას, განსაკუთრებით, ანტი-დისკრიმინაცია/თანასწორობა, მონაწილეობა/უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება/კანონის უზენაესობა.⁵
- d) ზოგიერთი შუალედური საფეხური შესაძლებელია არ იყოს პასუხისმგებელი უწყების პირდაპირი კონტროლის ქვეშ და ამ შემთხვევაში ისინი უნდა აღინიშნოს „რისკების“ სათაურის ქვეშ.⁶ რისკები ზოგჯერ შესაძლებელია შემცირდეს „პარტნიორების“ მიერ.
- e) ამოცანების რაოდენობა თითოეული მიზნისათვის დამოკიდებულია პრობლემის ანალიზზე და შესაძლებელია შეიცვალოს მიზნების შესაბამისად.
- f) **შესრულების / ზემოქმედების ინდიკატორების** გაზომვა, არის თუ არა მიზანი მიღწეული, უნდა განისაზღვროს პრობლემის ანალიზის დროს (იხ. ქვემოთ).
- g) მიზნები უნდა იყოს S.M.A.R.T. და მოკლედ ფორმულირებული.
- h) არ უნდა მოხდეს რამდენიმე ამოცანის გაერთიანება ერთ ჩარჩოში და ყველა ამოცანა უნდა დაინომროს შესაბამისად.

4. მოახდინეთ შესაბამისი აქტივობების იდენტიფიცირება

- a) პრობლემის ანალიზის დროს ხდება შესაბამისი აქტივობების იდენტიფიცირება.⁷
- b) აქტივობები დაკავშირებულია ამოცანებთან და მიმართულია ამ ამოცანების მიღწევისაკენ და შესაბამისად ხელს უწყობენ მიზნის მიღწევას.
- c) თითოეული ამოცანისათვის აქტივობების რაოდენობა დამოკიდებულია პრობლემის ანალიზზე და შესაძლებელია შეიცვალოს თითოეული ამოცანის შესაბამისად.
- d) აქტივობების შერჩევისა და დაგეგმვისას, განსაკუთრებით კი ანტი-დისკრიმინაცია/თანასწორობა, მონაწილეობა/უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება/კანონის უზენაესობა⁸ გათვალისწინებულ უნდა იქნას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპები.
- e) აქტივობები უნდა იყოს S.M.A.R.T. და მოკლედ ფორმულირებული.
- f) არ უნდა მოხდეს რამდენიმე აქტივობის გაერთიანება ერთ ჩარჩოში და ყველა აქტივობა უნდა დაინომროს შესაბამისად.

5. მოახდინეთ შესაბამისი შესრულების / გავლენისა და შედეგების ინდიკატორების იდენტიფიცირება

- a) **შესრულების / გავლენის ინდიკატორები** ზომავენ აქტივობების გავლენას სამიზნე ჯგუფზე, უფლებების მფლობელებზე; ისინი უფრო მეტად არიან დაკავშირებული ამოცანებთან და მათი იდენტიფიცირება უნდა მოხდეს პრობლემის ანალიზის საფეხურზე; თითოეული ამოცანისათვის უნდა იყოს შესრულების/გავლენის სულ მცირე ორი ინდიკატორი.⁹
- b) შესრულების / გავლენის ინდიკატორების წყაროები მოიცავს: პასუხისმგებელი უწყების ან მისი პარტნიორების მიერ შეგროვებულ მონაცემებს; წინა HRNAP (რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ბაზისი); სხვა

⁵ იხ. პარაგრაფები 34-36, რეკომენდაციების ანგარიში.

⁶ იხ. პარაგრაფები 49.10, რეკომენდაციების ანგარიში.

⁷ იხ. პარაგრაფები 30-33 და პარაგრაფი 49.3, რეკომენდაციების ანგარიში

⁸ იხ. პარაგრაფები 34-36, რეკომენდაციების ანგარიში.

⁹ იხ. პარაგრაფები 37-40 და პარაგრაფი 49.4, რეკომენდაციების ანგარიში.

დაკავშირებულ მრავალ-სექტორულ სამოქმედო გეგმებს; უფრო დეტალურ სექტორულ ან უწყების სამოქმედო გეგმებს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს; მონაცემებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებისაგან;

- c) შესრულების /გავლენის ინდიკატორები ჯვარედინად უნდა იქნას მითითებული მათ წყაროებზე ანგარიშგების ხელშეწყობის მიზნით; ეს შესაძლებელია განხორციელდეს „შენიშვნები“ სათაურის ქვემოთ შენიშვნის დამატებით.
- d) **შედეგების ინდიკატორები** ზომავენ ვალდებულების მატარებლების მიღწევებს; ისინი უფრო მეტად დაკავშირებულია აქტივობებთან და თითოეულ აქტივობაზე უნდა იყოს სულ მცირე ერთი შედეგის ინდიკატორი.
- e) შედეგების ინდიკატორები უნდა წარმოადგენდეს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ შემოწმებას - შესრულდა თუ არა აქტივობა (ეს ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს სათაურის „სტატუსი“ ქვეშ);¹⁰
- f) ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნას ინდიკატორების შერჩევაზე, განსაკუთრებით ანტი-დისკრიმინაცია/თანასწორობა, მონაწილეობა/უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება/კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით.¹¹
- g) როდესაც შესაძლებელია, მონაცემები ინდიკატორებისათვის უნდა იქნას დეტალიზირებული, რათა ასახოს მოწყვლადი ჯგუფები.
- h) ინდიკატორები უნდა იყოს S.M.A.R.T. (განსაკუთრებით “გაზომვადი”) და მოკლედ ფორმულირებული.
- i) ახალი კანონმდებლობის, რეგულაციების, პოლიტიკისა და ა.შ. მისაღებად ტერმინოლოგია შეთანხმებულ და შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ.¹²
- j) სწავლებისათვის შედეგების ინდიკატორები უნდა ზომავდნენ არა მხოლოდ სწავლების მასშტაბს (ანუ სწავლებაგავლილების რაოდენობა) არამედ, ასევე, სწავლებაგავლილი სამიზნე ჯგუფების პროცენტულობას და გეოგრაფიული დაფარვის მიღწეულ დონეს.¹³

6. ჩამოთვალეთ ნებისმიერი რისკები

- a) ნებისმიერი რისკები და / ან შეზღუდვები ჩამოთვლილ უნდა იქნას „რისკების“ სათაურის ქვეშ.¹⁴
- b) ისინი შესაძლებელია იდენტიფიცირებულ იქნას, ნაწილობრივ, პრობლემის ანალიზის დროს, იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ექვემდებარება პასუხისმგებელი უწყების კონტროლს.
- c) შეზღუდვები შესაძლებელია მოიცავდეს, მაგალითად, დამატებითი დაფინანსების ან სხვა ფაქტორების ხელმისაწვდომობას, რომლებიც გავლენას ახდენენ პასუხისმგებელი უწყების შესაძლებლობებზე.
- d) ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირდება „რისკების“ სათაურის ქვეშ, არის მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის და მნიშვნელოვანი იქნება აღმოჩენილ გამოწვევებსა და პრობლემებზე წლიურ ანგარიშში შესული ანალიზისათვის, ასევე შემდეგი საფეხურებისათვის დასკვნებისა და რეკომენდაციებისათვის.

¹⁰ იხ. პარაგრაფები 41-42, რეკომენდაციების ანგარიში.

¹¹ იხ. პარაგრაფები 34-36, რეკომენდაციების ანგარიში.

¹² იხ. პარაგრაფები 43, რეკომენდაციების ანგარიში.

¹³ იხ. პარაგრაფები 44-46, რეკომენდაციების ანგარიში.

¹⁴ იხ. პარაგრაფები 49.10, რეკომენდაციების ანგარიში.

7. განსაზღვრეთ პასუხისმგებელი უწყება და პარტნიორები

- a) თითოეული აქტივობისათვის უნდა განისაზღვროს ერთი პასუხისმგებელი სააგენტო; ეს სააგენტო პასუხისმგებელი იქნება განხორციელებასა და ანგარიშგებაზე.¹⁵
- b) ანგარიშგების მიზნებისათვის აუცილებელია, რომ არსებობდეს ადამიანის უფლებების სულ მცირე ორი მთავარი საკონტაქტო პირი თითოეულ პასუხისმგებელ უწყებაში.
- c) არასაჭირო სიტყვების აღმოსაფხვრელად დამატება „საქართველოს“ ამოღებულ უნდა იქნას უწყებების დასახელებებიდან.
- d) შესაბამისი სათაურის ქვეშ შეყვანილ უნდა იქნას ერთ თანამშრომელ უწყებაზე მეტი. პასუხისმგებელი უწყების მოვალეობაა, რომ მოხდინოს კოორდინაცია მის პარტნიორებთან.

8. აღნიშნეთ დასრულების სავარაუდო ვადა

- a) უნდა შეიყვანოთ თითოეული აქტივობის განხორციელების დასრულების სამიზნე თარიღი.¹⁶
- b) თარიღი უნდა აღნიშნავდეს წელს და კვარტალს, როდესაც დაიწყება განხორციელება (მაგ., 2018 კვ2)

9. სტატუსი

- a) ეს სათაური ეხება თითოეული აქტივობის განხორციელებას და უნდა შეივსოს პერიოდული ანგარიშგების განმავლობაში.¹⁷
- b) წლიური ანგარიშგების მიზნებისათვის თითოეული აქტივობა უნდა აღინიშნოს, როგორც „დასრულებული“, „ნაწილობრივ დასრულებული“, „მიმდინარე“ ან „განუხორციელებელი“.

10. მიუთითეთ ნებისმიერი საჭირო დაფინანსება¹⁸

- a) შეიყვანეთ ექსტრა-ბიუჯეტური ფინანსური რესურსების გათვლილი რაოდენობა, რაც საჭიროა თითოეული აქტივობის განსახორციელებლად.
- b) თუ დამატებითი დაფინანსება არ არის საჭირო, შეიყვანეთ „არავითარი“.

11. განსაზღვრეთ დამატებითი დაფინანსების წყაროები¹⁹

- a) თუ დამატებითი დაფინანსებაა საჭირო, შეიყვანეთ ამ დაფინანსების სავარაუდო (მოსალოდნელი) წყარო.
- b) თუ დამატებითი დაფინანსება არ არის საჭირო, შეიყვანეთ „არავითარი“.

12. შეიყვანეთ ნებისმიერი დამატებითი შენიშვნა²⁰

- a) შენიშვნები, რომლებიც მოხვდება ამ სათაურის ქვეშ არის მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის და ხელი უნდა შეუწყოს უწყების საკონტაქტო პირებსა და სამდივნოს, როდესაც მოხდება ანგარიშგება განხორციელების შესახებ.

¹⁵ იხ. პარაგრაფები 49.5, რეკომენდაციების ანგარიში.

¹⁶ იხ. პარაგრაფები 49.6, რეკომენდაციების ანგარიში.

¹⁷ იხ. პარაგრაფები 49.7, რეკომენდაციების ანგარიში.

¹⁸ იხ. პარაგრაფები 49.8, რეკომენდაციების ანგარიში.

¹⁹ Ibid.

²⁰ იხ. პარაგრაფები 49.11, რეკომენდაციების ანგარიში.

- b) მითითება უნდა გაკეთდეს საერთაშორისო და სხვა რეკომენდაციებზე, რომლებსაც მოყვება HRNAP ჩამოთვლილი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს შემდგომ ანგარიშგებას.

B. მითითებები ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის

ახალი HRNAP-სათვის დანართში II²¹ რეკომენდებული სტრუქტურის მიხედვით შემუშავების პროცესის დროს სამდივნოს ძირითადი პასუხისმგებლობები მოიცავს:

- 1) მონაწილე უწყებების მიერ ცხრილების შედგენის კოორდინაციას.
- 2) HRNAP შესავალის შედგენას, რომელშიც შესაძლებელია შეტანილ იქნას შესწორებები, შესაბამისად, შემდგომი სამოქმედო გეგმებისათვის.²²
- 3) უწყებების წინადადებების საკონტროლო დათვალიერებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მკაფიოობა, უნიფიცირებული ფორმულირება და სტილი.²³
- 4) უწყებების კონტრიბუციის მკაფიო და თანმიმდევრულ ჩარჩოში ორგანიზებას.²⁴
- 5) დოკუმენტში თანმიმდევრული და ზუსტი დანომვრის უზრუნველყოფას.
- 6) დადასტურებას, რომ ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები შეესატყვისება SMART კრიტერიუმს.
- 7) შესაძლო ცვლილებებისა და / ან დამატებების შეთავაზებას, რათა მოხდეს HRBA პრინციპების უკეთესად ასახვა.
- 8) ახალი HRNAP რეკომენდებული სტრუქტურის თავი 7(ბ) დასრულებას, საჭიროების შესაბამისად.
- 9) პროექტის ცირკულირებას თემატურ სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში საბოლოო შენიშვნებისათვის.
- 10) საბოლოო პროექტის წარდგენას ადამიანის უფლებათა საბჭოში დასამტკიცებლად.
- 11) დამტკიცებული HRNAP გავრცელებასა და რეკლამირებას.
- 12) HRNAP ონლაინ პლატფორმაზე ატვირთვას მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის.

III. სახელმძღვანელო წესები HRNAP მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასებისათვის

A. წლიური ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა

უნდა გვახსოვდეს, რომ HRNAP წლიური ანგარიშის²⁵ მიზანი უნდა იყოს:

- a. ადამიანის უფლებების სფეროში საკვანძო სამთავრობო ინიციატივების, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოებისა და ექსპერტების მომდევნო რეკომენდაციების აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოხატულ პრობლემატურ საკითხებზე რეაგირების აღწერილობითი და ანალიტიკური მიმოხილვის უზრუნველყოფა;

²¹ იხ. პარაგრაფები 22-27, რეკომენდაციების ანგარიში.

²² იხ. პარაგრაფები 24, რეკომენდაციების ანგარიში.

²³ იხ. პარაგრაფები 50, რეკომენდაციების ანგარიში.

²⁴ იხ. მაგალითად ცხრილი 3 (გვ. 16), რეკომენდაციების ანგარიში.

²⁵ იხ. პარაგრაფები 57-59, რეკომენდაციების ანგარიში.

- b. შეიცავდეს განხორციელების გამოწვევების აღიარებას, რაც შესაბამისად ახდენს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ვალდებულების თავზე აღების დემონსტრირებას;
- c. კავშირის უზრუნველყოფა შემდგომ, უფრო დეტალურ ინფორმაციასთან, რაც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ სამთავრობო აქტივობებთან (განსაკუთრებით, სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი ანგარიშების საშუალებით);
- d. ჩივილის შესაბამისი მექანიზმების, როგორც განხორციელების ინდიკატორების განსაზღვრა და მათზე ანგარიშგება;
- e. უნდა გახდეს საკონტაქტო პირი მთავრობისათვის (მათ შორის პარლამენტი და სასამართლო) და აგრეთვე ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოებისათვის კონსულტაციების, განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად და
- f. უნდა გახდეს ხელსაწყო ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების ყველა საფეხურის საჯარო მოხელეებისათვის, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის და ფართო საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის ცნობადობის ხელშესაწყობად.

წლიური ანგარიშის რეკომენდებული სტრუქტურა შესულია დანართში III.²⁶

B. მითითებები HRNAP პასუხისმგებელი უწყებებისათვის

დანართში III²⁷ შესული რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც ეხება ანგარიშგების ონლაინ პლატფორმას, პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ამოცანები:

კვარტალური ანგარიშგება

პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა მოახდინონ კვარტალური ანგარიშგების წარდგენა მათი აქტივობების, აგრეთვე შესაბამისი ინდიკატორების შესახებ. კვარტალური ანგარიშგები იქნება მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ. განხორციელების შუა წლის მიმოხილვა (მეორე კვარტალური ანგარიში) შემუშავებულ და წარდგენილ უნდა იქნას ადამიანის უფლებათა საბჭოსადმი შუა წლის შეხვედრაზე.²⁸

ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკონტაქტო პირების მიერ, რომლებიც განისაზღვრება თითოეული პასუხისმგებელი უწყებისათვის HRNAP მონიტორინგისა და ანგარიშგების ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.²⁹ უწყების საკონტაქტო პირი უნდა ახდენდეს ცხრილებში შემდეგი ინფორმაციის განახლებას ყოველკვარტალურად:

1. თითოეული აქტივობების სტატუსი, რომელზეც პასუხისმგებელია მათი უწყება, კერძოდ:
 - a. შესრულებული;
 - b. ნაწილობრივ შესრულებული;
 - c. მიმდინარე; ან
 - d. შეუსრულებელი.

²⁶ იხ. პარაგრაფები 60-67, რეკომენდაციების ანგარიში.

²⁷ იხ. პარაგრაფები 76-79, რეკომენდაციების ანგარიში.

²⁸ იხ. პარაგრაფები 68, რეკომენდაციების ანგარიში.

²⁹ იხ. პარაგრაფები 70-75, რეკომენდაციების ანგარიში.

2. შესრულების ვადის ნებისმიერი ცვლილება (წლის/კვარტლის).
3. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ეხება საჭირო დამატებით ფინანსებს ან დამატებით დაფინანსების წყაროებს.
4. ნებისმიერი დამატებით რისკები ან შენიშვნები.
5. საზომები / ღირებულებები შედეგების ინდიკატორებისთვის (რომლებიც ზომავს თითოეული აქტივობის მიღწევას) შევსებულ უნდა იქნას თითოეული შესრულებული აქტივობისათვის.
6. საზომები / ღირებულებები შესრულების/გავლენის ინდიკატორები (რომლებიც ზომავს თითოეული მიზნის მიღწევას) შევსებულ უნდა იქნას ყოველწლიურ ანგარიშში.

წლის ბოლო ანგარიში (წლიური ანგარიში)

გარდა კვარტალური ანგარიშგებისათვის ცხრილების ზემოთ მითითებული განახლებისა, კონტრიბუცია იქნება საჭირო წლიური ანგარიშის ანალიტიკურ ნაწილშიც. ამ მიზნით, უწყების საკონტაქტო პირმა უნდა გამოიყენოს ონლაინ პლატფორმა, რათა მოკლედ შეაფასოს მიღწეული პროგრესი უწყების აქტივობების თითოეული ამოცანის მიმართ როგორც შემდეგ სფეროებში:

თავი: (სათაური ცხრილებიდან)

მიზანი: (ნომერი და აღწერილობა ცხრილებიდან)

ამოცანა: (ნომერი და აღწერილობა ცხრილებიდან)

აქტივობა / აქტივობები: (ნომერი(ები) მხოლოდ)

1. მოკლედ აღწერეთ ძირითადი მიღწევები შესრულებისა და შედეგების ინდიკატორებზე მითითებით;
2. განსაზღვრეთ და მოკლედ ახსენით ნებისმიერი მიღწევა;
3. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი გამოწვევები, პრობლემები (მათ შორის დაფინანსება) ან წარუმატებლობები.
4. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი დასკვნა, რეკომენდაცია და / ან შემდეგი საფეხურები

შეფასება ფორმულირებულ უნდა იქნას მაქსიმალურად მოკლედ, 50 ან ნაკლები სიტყვით³⁰ შეფასების ოთხიდან თითოეული კატეგორიისათვის (სულ 200 სიტყვა მაქსიმუმ).

C. მითითებები ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის

დანართში III³¹ რეკომენდებული სტრუქტურის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მთავარი ამოცანების მოიცავს:

წლიური ანგარიშისათვის³²

- უწყებების კონტრიბუციის თავმოყრას წლიური ანგარიშის ანალიტიკური სექციის შესაბამის თავებში;

³⁰ ეს რაოდენობა განხილულ უნდა იქნას 2018-2019 წლების HRNAP-ში შესული ამოცანების რაოდენობის მიხედვით. რაც უფრო მაღალია ამოცანების რაოდენობა, მით უფრო ნაკლები სიტყვა უნდა იყოს თითოეულ შეფასებაში, წლიურ ანგარიშში ანალიტიკური სექციის ზომის 35 გვერდამდე შემცირების თვალსაზრისით.

³¹ იხ. პარაგრაფები 76-79, რეკომენდაციების ანგარიში.

³² იხ. პარაგრაფები 79-82, რეკომენდაციების ანგარიში.

- დადასტურება, რომ ანგარიში შედგენილ იქნა ყველა ამოცანაზე და რომ პროგრესის შეფასება თითოეულ ამოცანაზე დასრულდა;
- უწყებების წინადადებების შესწორება და გადახედვა, აუცილებლობის მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მკაფიოობა და თანმიმდევრობა სტილსა და დოკუმენტში ტერმინოლოგიის გამოყენებაში;
- მოკლე “ქუდი” ან თითოეული თავის შესავლის დაწერა:
 1. ძირითადი მიღწევების გამოკვეთა
 2. სტატისტიკის წარმოება განხორციელების დონის შესახებ (თავში თითოეული აქტივობის მოხსენებული სტატუსის მიხედვით); და
 3. მითითება ნებისმიერ ავტორიტეტულ რეკომენდაციაზე, რომლებზეც რეაგირებაა თავში.
- თავების ორგანიზება წლიური ანგარიშის რეკომენდებული სტრუქტურის დასადასტურებლად.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ უნდა უზრუნველყოს წლიური ანგარიშის შემდეგი ელემენტები:

- გარეკანი / საწყისი გვერდი
- შინაარსი
- შეჯამება
- თავი „ეროვნული სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი სტრუქტურების მიმოხილვა“, რომელიც მოიცავს
 1. აქტივობებს / გადაწყვეტილებებს ადამიანის უფლებათა საბჭოსა და მის სამუშაო ჯგუფებზე ანგარიშში განხილული პერიოდის განმავლობაში
 2. ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ განხორციელებული აქტივობებს
- თავი „სამოქმედო გეგმის შესახებ შემაჯამებელი დაკვირვებები და რეკომენდაციები; განხორციელების პროცესი და დაკავშირებული სტრუქტურები (ადამიანის უფლებათა საბჭო, WGs და ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო); და შემდეგი ნაბიჯები და პრიორიტეტები შემდეგი საფეხურისათვის
- დანართები, რომლებიც უნდა მოიცავდეს:
 1. განახლებულ და დასრულებულ HRNAP ცხრილებს რომლებიც მოიცავს მხოლოდ შერჩეულ საჯარო ინფორმაციას და თითოეული აქტივობის სტატუსს;
 2. ნებისმიერი სხვა შესაბამის ინფორმაციას, რომელზეც მითითებაა გაკეთებული ანგარიშში (მაგ. თემატური სამუშაო ჯგუფების/კომისიების წევრობა, მიღებული კანონმდებლობის ან პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალი და ა.შ.)

როდესაც წლიური ანგარიში დასრულდება და დამტკიცდება ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ, ის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ინტერნეტით, სანამ მოხდება პარლამენტში მისი განხილვა.³³

³³ იხ. პარაგრაფები 67. რეკომენდაციების ანგარიში.

კვარტალური და შუა წლის ანგარიშები³⁴

- კვარტალური ანგარიშები არის მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის, თემატურ სამუშაო ჯგუფებში განსახილველად
- კვარტალური ანგარიშები უნდა შეიცავდეს განახლებულ ცხრილებს, შევსებულს:
 1. სამდივნოს სტატისტიკური ანალიზით, რომელიც აჩვენებს განხორციელების დონეს (აქტივობების გამოცხადებული სტატუსის მიხედვით) სექტორის / თავის მიხედვით და მთლიანად HRNAP-სთვის;
 2. განახლებული ინფორმაციით დამატებითი დაფინანსების მოთხოვნებზე, რომლებიც ჩამოთვლილია HRNAP-ში;
 3. ნებისმიერი სხვა ინფორმაციით, რომელიც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ადამიანის უფლებათა საბჭოს ან მისი თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ;
 4. ნებისმიერი სხვა ინფორმაციით, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად იქნას მიჩნეული ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ.
- შუა-წლის (ან მეორე კვარტალის) მოხსენება განხილულ იქნება ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, აღწერილს კვარტალური ანგარიშებისათვის და გარდა ამისა, HRNAP ნებისმიერ შემოთავაზებულ ცვლილებას, რელევანტური თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ რეკომენდაციის შესაბამისად.

HRNAP მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესს ხელი უნდა შეუწყოს მაქსიმალურად მოკლე დროში ონლაინ პლატფორმის ჩამოყალიბებამ, სსიპ საჯარო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიგრაციის სამოქმედო გეგმის ანგარიშებისათვის შემუშავებული პლატფორმის მსგავსა.³⁵

³⁴ იხ. პარაგრაფი 68, რეკომენდაციების ანგარიში.

³⁵ იხ. პარაგრაფები 69-74, რეკომენდაციების ანგარიში.

დანართი I: რეკომენდებული ცხრილი ფორმატის ნიმუში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმისათვის

მიზანი 1:

კავშირები: [ჯვარედინი მითითება სხვა ეროვნულ სამოქმედო გეგმებში კონკრეტულ მიზნებზე]

ამოცანა	ინდიკატორი	აქტივობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	დასრულების დედლაინი	სტატუსი	საჭირო დამატებითი დაფინანსება	დამატებითი დაფინანსების წყაროები	რისკები-*/	შენიშვნები-*/
1.1	შედეგების ინდიკატორ(ებ)ი	1.1.1			წელი / კვარტალი					
	გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	1.1.2			წელი / კვარტალი					
1.2	შედეგების ინდიკატორ(ებ)ი	1.2.1			წელი / კვარტალი					
	გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	1.2.2			წელი / კვარტალი					
		1.2.3			წელი / კვარტალი					
1.3	შედეგების ინდიკატორ(ებ)ი	1.3.1			წელი / კვარტალი					
	გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	1.3.2			წელი / კვარტალი					
		1.3.3			წელი / კვარტალი					
		1.3.4			წელი / კვარტალი					
1.4	შედეგების ინდიკატორ(ებ)ი	1.4.1			წელი / კვარტალი					
	გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	1.4.2			წელი / კვარტალი					

*/ - ეს ველები არის მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის და შესაძლებელია ამოღებულ იქნას საჯარო დოკუმენტიდან, რომელიც დანართად დაერთვება წლიურ ანგარიშს ან ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტში.

შენიშვნები:

- ამოცანებისა და აქტივობების რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს თითოეული შერჩეული მიზნის მიხედვით.

დანართი II: ადამიანის უფლებების ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემოთავაზებული სტრუქტურა
(ახსნითი ანოტაციები დაწერილია კურსივით)

შესავალი *(ამჟამად არ არის; სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა, პროცესი და მხარდამჭერი სტრუქტურები, როგორცაა ადამიანის უფლებება და დაცვის საბჭო, მისი სამუშაო ჯგუფები/კომისიები და სამდივნო)*

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
 - a. სისხლის სამართლის რეფორმა *(ამჟამად სისხლის სამართალი)*
 - b. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა *(მათ შორის სამართალწარმოება)*
 - c. ადამიანის უფლებების და კანონის დაცვა *(ამჟამად მითითებები პოლიციაზე შეზღუდულია და უმეტესად არის „წამების“ ქვეშ)*
 - d. დაკავებულების უფლებები
 - e. წამებისა და სხვა ცუდი მოპყრობა *(უნდა მოიცავდეს წამების წინააღმდეგ ადამიანის უფლებების საბჭოს მუშაობასა და მის სამუშაო გეგმაზე ფოკუსირებას)*
 - f. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
 - g. გამოხატვის თავისუფლება
 - h. გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება *(ამჟამად შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება)*
2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები
 - a. განათლების უფლება *(ამჟამად არ არის ზოგადად განხილული ცალკე სექციაში)*
 - b. ჯანმრთელობის უფლება *(ამჟამად არ არის ზოგადად დაფარული ცალკე სექციაში)*
 - c. შრომის უფლება
 - d. საკუთრებისა და მიწის უფლებები *(ეროვნულ სტრატეგიაში, მაგრამ არ არის მიმდინარე გეგმებში)*
3. ქალების უფლებები და სქესთა თანასწორობა *(ამჟამად გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერება)*
 - a. სქესის თანასწორობა და ქალთა გაძლიერება
 - b. ქალების წინააღმდეგ ძალადობის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა
 - c. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება
4. ბავშვების უფლებები
5. უმცირესობების, შშმ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები
 - a. ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების დაცვა *(ამჟამად ორ თავში: ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების დაცვა და რელიგიური უმცირესობების დაცვა)*
 - b. შშმ პირების უფლებები
 - c. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა
6. იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDPs), მიგრანტებისა და ოკუპირებულ ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრები პირების უფლებები
 - a. IDP უფლებები

- b. მიგრანტებისა და ლტოლვილების უფლებები (ამჟამად მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლებისა და თავშესაფრის სტატუსის მქონე პირების უფლებები)
 - c. ეკო-მიგრანტების უფლებები
 - d. რეპატრიანტების უფლებები
 - e. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან საზღვრის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უფლებები
7. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები
- a. ბიზნესი და ადამიანის უფლებები
 - b. ადამიანის უფლებებისა და მმართველობის ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერება (ამჟამად არ არის, გარდა ბოლო თავისა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შესახებ; შესაძლებელია შეიცავდეს შენიშვნებს, დაკავშირებულს PDO, სხვა ადამიანის უფლებათა დაცვის გამოძიების / საჩივრების მექანიზმების შესახებ; ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე შემდგომ მუშაობას და დებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს, მისი კომისიებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსათვის)
 - c. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება (ამჟამად არ არის; ხელშეკრულების / ოქმის რატიფიცირება და ანგარიშგება; სახელშეკრულებო ორგანოს ანგარიშები შედგენილ უნდა იქნას წარსადგენად)

დანართი III: წლის ანგარიშის რეკომენდებული ახალი სტრუქტურა

„პოლიტიკის დაგეგმარების სახელმძღვანელოში“ შესული მოთხოვნების შესაბამისად

- a. შინაარსი
- b. შეჯამება
- c. აღწერილობითი / ანალიტიკური მიმოხილვა თითოეული HRNAP თავის სათაურისათვის
 - a. ძირითადი პარტნიორებისა და რელევანტური სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმების მოკლე შესავალი მიმოხილვა
 - განსაზღვრეთ და მიუთითეთ შესაბამის განმახორციელებელ უწყებებზე და გეგმებზე (მაგ., უწყებათაშორის კომისია და სამოქმედო გეგმები)
 - b. თითოეული მიზნისა და მისი ამოცანების მიღწევის პროგრესის შეფასება
 - მთავარი მიღწევების გამოკვეთა შეფასების ინდიკატორების მითითებით; [უნდა მოიცავდეს მითითებას თითოეული სააგენტოს მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე შესაბამის სამუშაო ჯგუფში]
 - მიუთითეთ ნებისმიერ წარმატებაზე;
 - შეაფასეთ ნებისმიერი გამოწვევა, პრობლემები ან წარუმატებლობა (მათ შორის დაფინანსება);
 - დასკვნა და შემდეგი საფეხურები
 1. შესაძლებელია მოიცავდეს მითითებას ექსპერტთა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამის რეკომენდაციებზე
- d. ძირითადი ეროვნული სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი სტრუქტურების მიმოხილვა
 - ადამიანის უფლებების საბჭოს აქტივობები / გადაწყვეტილებები და მისი სამუშაო ჯგუფები ანგარიშში განხილული პერიოდის განმავლობაში
 - აქტივობები, რომლებიც განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მეორ
- e. შემაჯამებელი დაკვირვებები და რეკომენდაციები:
 - გეგმის შესახებ
 - განხორციელების პროცესი და დაკავშირებული სტრუქტურები (ადამიანის უფლებათა საბჭო, WG და ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო) და
 - შემდეგი საფეხურები და შემდეგი ეტაპის შესაძლო პრიორიტეტები
- f. დანართები:
 - a. HRNAP ცხრილები, რომელიც შეიცავს მხოლოდ შერჩეულ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის, თითოეული აქტივობის სტატუსს.
 - b. ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია მითითებულ უნდა იქნას ანგარიშში (ანუ თემატური სამუშაო ჯგუფების/კომისიების წევრობა, კანონმდებლობის ან მიღებული პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალი და ა.შ.)